პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	1 978.7 ათასი ლარი
	· ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასმელი წყლის სისტემების მოწყობა/რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია, წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის და სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია. ხაშურის მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში სოფელებში სასმელი წყლის ჭაბურღილების, სატუმბო სადგურების, სათავე ნაგებობების მიერ მოხმარებული ელექტრო ენერგიის საფასურის ანაზღაურება. შესაბამისად მუნიციპალიტეტის დასახლებებში სასმელი წყლის რეგულარული და გრაფიკით მიწოდება;



ქვეპროგრამის აღწერა:

-წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 3 ქვეპროგრამისაგან:
 -წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია;
 -წყლის სათავე ნაგებობების მოვლა-შენახვა;
 -წყლის სისტემების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა
 რეაბილიტაცია ექსპლოატაცია მოვლა-პატრონობა
 წყლის სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხაშურის მუნიციპალიტეტში მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხაშურის მუნიციპალიტეტში 12 სოფლის 10 სათავე ნაგებობა (სოფელ წაღვლის, წრომის, ალის, ქვიშეთის, ფლევის, ბიჯნისის, ჩუმათელეთის, ხცისის, ტეზერის, ტასისკარი, ტკოცა, ბროლოსანი, ბრილი, სატივე) ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ანაზღაურდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯები.
 გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

წყლის სისტემების მოწყობა და მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა გენდერულად მნიშვნელოვანია. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული საჭიროებები და სამუშაოების განხორციელების შედეგად მოეწყობა გენდერულად მგრძნობიარე ინფრასტრუქტურა. წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. გენდერული როლების გათვალისწინებით სოფლად მცხოვრები ქალები მეტად არიან ჩართული შინამეურნეობის მართვაში. გამართული წყალმომარაგება ქალებს შეუძლებულებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, შესაბამისად, დაეზოგებათ დრო და შემცირდება აუნაზღაურებად შრომაში მათ ჩართულობის ხანგრძლივობა.

წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სკოლებისა და საბავშვო ბაღების სასმელი წყლით მომარაგებას, რაც შექმნის სანიტარულ პირობებს სადამრძელო და განათლების დაწესებულებებში როგორც გოგონებისა და ბიჭებისთვის, ასევე ქალი და კაცი მასწავლებლებისა და დასაქმებული პერსონალისთვის.

მუნიციპალიტეტში მოწყობილია გენდერულად პასუხისმგებლიანი წყალმომარაგების სისტემა, გაზრდილია სტანდარტების შესაბამის სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესებულია მოსახლეობის საოჯახო და საცხოვრებელი პირობები

მიზანი 5 -გენდერული თანასწორობა
 მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია

პროგრამის მიზანი და აღწერა

მოსალოდნელი შედეგი

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 02 01 01
ქვეპროგრამის დასახელება:	წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	1 609,0 ათასი ლარი



	· ქვეპროგრამის მიზანი მუნიციპალიტეტში მდგრადი სასმელი წყლის სისტემის შექმნა და შეუფერხებელი მიწოდება. · ქვეპროგრამის აღწერა: წყალმომარაგების და წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით მოხდება წყალსადენის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია. ძველი, ამორტიზირებული სისტემების აღდგენა, ახლის მშენებლობა და ექსპლოატაცია. ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას და წყალმომარაგების სისტემის მოწყობის პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. წყალმომარაგების და წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით მოხდება წყალსადენის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია. ძველი, ამორტიზირებული სისტემების აღდგენა, ახლის მშენებლობა და ექსპლოატაცია. ხაშურის მუნიციპალიტეტში ქვეპროგრამის ფარგლებში სოფელებში სასმელი წყლის ჭაბურღილების, სატუმბო სადგურების, სათავე ნაგებობების მიერ მოხმარებული ელექტო ენერგიის საფასურის ანაზღაურება, ასევე დაიგეგმა ანაზღაურება, 1. დაგეგმილია სოფელ სათიევში წყლის ჭაბურღილის მაგისტრალის და სათავე ნაგებობის მოწყობა პროექტის ღირებულება 300 ათასი ლარი (300 გრ/მ) ისარგებლებს 1500 ბენეფიციარი, 2. სოფელ ტაშიკარში წყლის ჭაბურღილის მაგისტრალის და სათავე ნაგებობის მოწყობა პროექტის ღირებულება 500,0 ათასი ლარი (2.400 გრ/მ) ისარგებლებს 478 ბენეფიციარი, 3. კლდისწყარო ბროლოსანი წყლის ჭაბურღილის მაგისტრალის და სათავე ნაგებობის მოწყობა პროექტის ღირებულება 500,0 ათასი ლარი (3.6 გრ/მ) ისარგებლებს 426 ბენეფიციარი. ლარი, ასევე გასული წლების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 2,5%. შესაბამისად მოგვარდება მუნიციპალიტეტის დასახლებებში სასმელი წყლის რეგულარული მიწოდება; - მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებებს ექნება შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლუატაცია იქნება უწყვეტ რეჟიმში, ასევე დაიგეგმა საჭიროების შემთხვევაში წყლის ტუმბოების და მასალების შეძენა. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია წყალმომარაგების სისტემა, ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების გრაფიკი და მოსახლეობას მიეწოდება ხარისხიანი სასმელი წყალი.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 02 01 03
ქვეპროგრამის დასახელება:	წყლის სათავე-ნაგებობების მოვლა-პატრონობა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „წყლისა და გამწვანების კომპანია“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	191.8 ათასი ლარი
	· ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში მდგრადი სასმელი წყლის სისტემის ჭაბურღილების შეუფერხებელი ფუნქციონირება; წყალარინების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება და გამწმენდი ნაგებობის მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა. · ქვეპროგრამის აღწერა: ა(ა)იპ წყლის და გამწვანების კომპანიის მიერ ხორციელდება წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის, წროშში სათავე ნაგებობის, წაღვში სათავე ნაგებობის, ქვიშხეთში სათავე ნაგებობის, ალში სათავე ნაგებობის მოვლა-პატრონობა, ასევე ბიჯნისის წყლის სათავე-ნაგებობების და წყალმომარაგების სისტემის მოვლა-პატრონობა, რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. ხორციელდება მიწოდებული წყლის ხარისხის კონტროლი (წყლის განმავლობაში სინჯის აღება, სხვადასხვა ლოკაციაზე), დაზიანებების დროული აღმოფხვრა, მოსახლეობის მომსახურება 24 საათიანი გრაფიკით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის სისტემების, ჭაბურღილების და სატუმბო სადგურების მონიტორინგი, ოპერატიულად

	აღმოფხვრება ყველა დაზიანება, შემოწმდება წყლის ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში მოხდება სასმელი წყლის გაუსნეობენება, ასევე სარწყავი წყლის სისტემების ჭაბურღილების მონიტორინგი, ოპერატიულად აღმოფხვრება ყველა დაზიანება. წყალარინების ქსელის მონიტორინგი, დაზიანებების ოპერატიულად აღმოფხვრა, კეთილმოეწყობა გამწმენდი ნაგებობის გარე პერიმეტრი, ასევე სამსახურის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იფუნქციონირებს გამწმენდი ნაგებობა, მასში განთავსებული ტუმბოები და სხვადასხვა აგრეგატები.
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის 12 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე მოაგარაკებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას.(ა)იპ წყლის და გამწვანების კომპანიის მიერ ხორციელდება ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის, წროში სათავე ნაგებობის, წაღვლში სათავე ნაგებობის, ქვიშეთში სათავე ნაგებობის, ალში სათავე ნაგებობის მოვლა-პატრონობა, ასევე ბიჯნისის წყლის სათავე-ნაგებობების და წყალმომარაგების სისტემის მოვლა-პატრონობა, რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. ხორციელდება მიწოდებული წყლის ხარისხის კონტროლი (წყლის განმავლობაში სინჯის აღება, სხვადასხვა ლოკაციაზე), დაზიანებების დროული აღმოფხვრა, მოსახლეობის მომსახურება გრაფიკით. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის სისტემების, ჭაბურღილების და სატუმბო სადგურების მონიტორინგი, ოპერატიულად აღმოფხვრება ყველა დაზიანება, შემოწმდება წყლის ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში მოხდება სასმელი წყლის გაუსნეობენება, ასევე სარწყავი წყლის სისტემების ჭაბურღილების მონიტორინგი, ოპერატიულად აღმოფხვრება ყველა დაზიანება. წყალარინების ქსელის მონიტორინგი, დაზიანებების ოპერატიულად აღმოფხვრა, კეთილმოეწყობა გამწმენდი ნაგებობის გარე პერიმეტრი, ასევე სამსახურის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იფუნქციონირებს გამწმენდი ნაგებობა, მასში განთავსებული ტუმბოები და სხვადასხვა აგრეგატები. ხარისხიანი წყლის მიწოდება ამცირებს დაავადებათა რისკებს, სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის, რადგან უფრო მეტად სწორედ მათ უწევთ ოჯახის ჰიგიენაზე ზრუნვა.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: წყლის სათავე ნაგებობის სათანადო მდგომარეობაში მოვლა-შენახვა და უსაფრთხოება. უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების ქსელის გამართული ფუნქციონირება, წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად და მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 5- გენდერული თანასწორობა მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 03
პროგრამის დასახელება:	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია ექსპლუატაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოეწყობის სამსახური
დაფინანსება	1 034.9 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე და დეკორატიული განათების ქსელის ფუნქციონირებას. ქვეპროგრამის აღწერა: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე და დეკორატიული განათების ქსელის ფუნქციონირებას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გარე განათების ქსელის მოწყობა, მოვლა-შენახვა და გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გარე განათების ქსელის მოწყობა, მოვლა-შენახვა და გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება. ღამის საათებში ხაშურის დაბა სურამის და სოფლების მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა; გარე განათების ქსელის ფუნქციონირების მიზნით მუნიციპალურ ბალანსზე არსებული განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება და ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დეკორატიული განათების ქსელის ფუნქციონირებას; მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება; დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ხაშურში, დაბა სურამში და 11 ადმინისტრაციულ ერთეულში პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 11218 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის

	ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ზომების, განათების წერტილების მუნიციპალიტეტში გარე განათების ზომების საერთო რაოდენობა (სულ ზომები 9426. მ.მ., ეპ-ჯორჯიას"-1599, მუნიციპალიტეტის-7867) სანათი წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას. გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ზომების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას. გარე განათების სისტემის მოწყობა გენდერულად მნიშვნელოვანია, რადგან გაუნათებელი ქუჩები განსაკუთრებით რისკის შემცველია ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირებისთვის. გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება ამცირებს დანაშაულის რისკებს.
მოსალოდნელი შედეგი	გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწყობილია განათების სისტემა, უზრუნველყოფილია ქალაქ ხაშურის, დაბა სურამისა და სოფლების ტერიტორიაზე მისი შეუფერხებელი ფუნქციონირება და ღამის საათებში მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირების) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 03 01
ქვეპროგრამის დასახელება:	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	656.4 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანს: წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით ღამის საათებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა; გარე განათების ქსელის ფუნქციონირების მიზნით მუნიციპალურ ბალანსზე არსებული განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება; ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით ამ ეტაპზე 600,0 ათასი ლარი) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას, ქუჩების განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯები მოიცავს შემდეგი სახის ძირითად მომსახურებას: კონტროლს ელექტრო ენერგიის ხარჯვაზე 1) უზნებზე ელექტროენერგიის ხარჯვის ჩვენებების მონაცემთა მონიტორინგი და შესაბამისად ელექტროენერგიის ხარჯვის დადასტურება, დახარჯული ელექტროენერგიის ეფექტურობისა და ხარჯვის კონტროლი. 2) დეკადური ინფორმაციის წარმოდგენა იმის შესახებ, აქვს თუ არა ადგილი სისტემიდან ელექტროენერგიის დატაცებას და ყოველი ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სამსახურებთან ერთად მისი ლიკვიდაცია, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ხაშურში, დაბა სურამში და 11 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 11218 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების 11218 სანათი წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას. ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას (გარე განათება), ქუჩების განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯები მოიცავს შემდეგი სახის ძირითად მომსახურებას: კონტროლს ელექტრო ენერგიის ხარჯვაზე 1) უზნებზე ელექტროენერგიის ხარჯვის ჩვენებების მონაცემთა მონიტორინგი და შესაბამისად ელექტროენერგიის ხარჯვის დადასტურება, დახარჯული ელექტროენერგიის ეფექტურობისა და ხარჯვის კონტროლი. 2) დეკადური ინფორმაციის წარმოდგენა იმის შესახებ, აქვს თუ არა ადგილი სისტემიდან ელექტროენერგიის დატაცებას და ყოველი ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სამსახურებთან ერთად მისი ლიკვიდაცია. ასევე წინა წლების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 2,5%.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილია გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება; პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროული აღმოფხვრა; მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 100%.
გაეროს მდგრადი განვითარების	მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა



ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 03 02
ქვეპროგრამის დასახელება:	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	378,5 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანს	წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით და არსებული ნათურების ეფექტური დიოდური ნათურებით ეტაპობრივად ამოცვლა. ღამის საათებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა;
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ეფუძნება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს შემუშავებულია მისი აღსრულების მიზნით და მიზნად ისახავს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვას და რეაბილიტაციას, ამ სისტემაში ელექტრო ენერგიის მოხმარებაზე კონტროლის განხორციელებას. განათების სისტემის მოვლა-შენახვისა და რეაბილიტაციისათვის აუცილებელი სამუშაოები, რომლის შესყიდვაც უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რაც თავის მხრივ გულისხმობს: ა) სისტემის ტექნიკურად გამართულ მუშაობას. პროგრამით გათვალისწინებული ობიექტების ყოველკვირეული შემოვლა, ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევების გამოვლენა, შესაბამისად უმოკლეს ვადაში სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. 2) კონტროლის განხორციელება დღის განმავლობაში ღამის განათების ნათურების ანთების ფაქტზე, ელექტრო ენერგიის დამატებითი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით მათი გათიშვის უზრუნველყოფა და ამ კუთხით სისტემის გამართული მუშაობის აღდგენა. 3) კონკრეტულ უბანზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების დეტალური აქტებისა და დანახარჯთა ნუსხის წარმოდგენა ამ მიზნით საჭირო დაფინანსების მისაღებად. 4) ცალკეულ უბნებზე ელექტროენერგიის ხარჯვის ჩვენებების მონაცემთა მონიტორინგი და შესაბამისად ელექტროენერგიის ხარჯვის აქტების დადასტურება, დახარჯული ელექტროენერგიის ეფექტურობისა და ხარჯვის კონტროლი. 5) დეკადური ინფორმაციის წარმოდგენა იმის შესახებ, აქვს თუ არა ადგილი სისტემიდან ელექტროენერგიის დატაცებას და ყოველი ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სამსახურებთან ერთად მისი ლიკვიდაცია. ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის, ლამპიონების მოვლა-პატრონობა. ღონისძიებების ფარგლებში მოხდება გარე განათების ექსპლოატაციის პერიოდში წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრა, დამწვარი ნათურების შეცვლა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. გარე განათების ქსელის მომსახურება გაეწევა მუნიციპალიტეტის შემდეგ დასახლებულ პუნქტებს: სოფელი ცხრაბუხა, სოფელი თავგეთი. სოფელი გომი, სოფელი აგარები, სოფელი ვყაყ, სოფელი დიდი სატივე. სოფელი ზემო ოსიაური, სოფელი ქვემო ოსიაური, სოფელი ახალსოფელი, სოფელი პატარა სატივე, სოფელი ქვემო აძვისი, სოფელი ხიდისყური, სოფელი წრომი, სოფელი დიდი ყელეთი, სოფელი ახალშენი, სოფელი იმერლიანთ კარი, სოფელი ნადარბაზევი. სოფელი ხვისი, სოფელი მიწოზი. სოფელი დიდი ხალები, სოფელი პატარა ხალები, სოფელი ღვრიაწყალი, სოფელი ღართა. სოფელი ცოცხნარა, სოფელი ქემფერი, სოფელი ოძისი, სოფელი ცედანი, სოფელი წაბლოვანა, სოფელი ცივწყარო. სოფელი დიდი ფლევი, სოფელი პატარა ფლევი, სოფელი ნაცაროვრა, ტკოცა. სოფელი ალი, უწლევი, ნაბახტევი, მცხეთიჯვარი, დუმაცხოვი, ზემო აძვისი, კლდისწყარო, ბრილი, ახალუბანი, ქინძათი. სოფელი წაღვლი, სოფელი ქვემო ბროლოსანი, სოფელი კლდისწყარო, წედვერი, ჩორჩანა. სულ მუნიციპალიტეტში ელექტრო გადამცემი ხაზები 405315 გ/მ, საყრდენების რაოდენობა 9426 ცალია 1599 ეკუთვნის შპს „ეპ-ჯორჯიას“ ყოველ 35 მეტრში, ნათურების რაოდენობა 11218 ცალია მათ შორის 3351 დიოდური ნათურაა.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის გამართულად ფუნქციონირებს და პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები დროულად აღმოფხვრილია და შექმნილია პირობები ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთო გადაადგილებისთვის
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა



	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები
--	---

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 04
პროგრამის დასახელება:	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	1 730,1 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანი: მრავალბინიანი სახლების მომხმარებელთათვის ეზოებში დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების მოწესრიგება და მომხმარებელთათვის უსაფრთხო, კომფორტული, გაუმჯობესებული საცხოვრებელი გარემოს შექმნა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობი პროგრამის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება. პროგრამის ძირითადი მიმართულებები: მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსებას საცხოვრებელი კორპუსების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და სხვა ღონისძიებები. ბიუჯეტით გათვალისწინებულ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობ პროგრამით ამხანაგობა აწარმოებს ბინათმესაკუთრეთა აღრიცხვის ჟურნალს ამხანაგობა წერილობით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას განმცხადებელი ამხანაგობის შესახებ და პრობლემის არსს, რომლის გადაჭრისკენაც არის მიმართული ამხანაგობის განცხადება. ასევე ბინების სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შედეგად მოეწეობა გენდერულად პასუხისმგებლიანი ინფრასტრუქტურა. დაიგეგმა ქალაქ 1. ქ. ხაშურში კოსტავას ქუჩის №4 და №6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია 63,34 ათასი ლარი (2 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ისარგებლებს ბენეფიციარი 250) 2. ქ.ხაშურში თევდორე მღვდლის ქუჩაზე №34, №51 და №43 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია 111,44 ლარი (3 მრავალბინიანი სახლი, ბენეფიციარი 300) 3. ქ.ხაშურში გაგარინის #86 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 114,72 ათასი ლარი (1 მრავალბინიანი სახლი ბენეფიციარი 120) 4. ქ.ხაშურში თავდადებულის ქუჩაზე №82 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია (1 მრავალბინიანი, 150 ბენეფიციარი) სოფელ გომში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია (1 მრავალბინიანი, 12 ბენეფიციარი) 103,88 ათასი ლარი 5. ქ.ხაშურში თამარ მეფის ქუჩაზე #19 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია (2 მრავალბინიანი 40 ბენეფიციარი) 106,03 ათასი ლარი 6. ქ.ხაშურში ლომოურის ქუჩაზე არსებული #15 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია (1 მრავალბინიანი, 60 ბენეფიციარი) 149,97 ათასი ლარი 7. ქ.ხაშურში ყაზბეგის ქუჩა №27 მრავალბინიანი სახლის სახურავის და ფასადის რეაბილიტაცია 70,0 ათასი ლარი (1 მრავალბინიანი, 30 ბენეფიციარი) 8. ქ. ხაშურში შუმის ქარხნის №3 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გარშემო სადრენაჟე სისტემის მოწყობა 40,0 ათასი ლარი (1 მრავალბინიანი, 100 ბენეფიციარი) ასევე ანაზღაურდება ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 2,5%.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: უზრუნველყოფილია ამხანაგობების განვითარება და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რეაბილიტირებულია მრავალბინიანი შენობები, შექმნილია გენდერულად პასუხისმგებლიანი კომუნალური ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებულია საცხოვრებელი გარემო.
გეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 05
პროგრამის დასახელება:	კეთილმოწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	1 994.6 ათასი ლარი
	პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში საზოგადოებრივი

პროგრამის მიზანი და აღწერა	დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწყობა; მოსახლეობისთვის დასვენებისა და გართობის მიმზიდველი გარემოს შექმნა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისგათვალისწინებით. პროგრამის ძირითადი მიმართულებები: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა, ტერიტორიის კეთილმოწყობა იმ ღონისძიებებისა და სამუშაოთა ერთობლიობაა, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის ცხოვრებისა და დასვენებისათვის სასიკეთო და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად. ტერიტორიის კეთილმოწყობის პროგრამა უნდა შედგეს ტერიტორიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების გათვალისწინებითადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება: „მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა“, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და სხვა ღონისძიებები. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა, ტერიტორიის კეთილმოწყობა იმ ღონისძიებებისა და სამუშაოთა ერთობლიობაა, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის ცხოვრებისა და დასვენებისათვის სასიკეთო და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად. მოწყობა გენდერულად პასუხისმგებლიანი ღია დასასვენებელი სივრცეები, სადაც მოსახლეობას, მათ შორის მოწყვლად ჯგუფებს (შშმ პირებს, ახალგაზრდებს, მოხუცებს, ბავშვებს და ქალებს) შეუფერხებლად შეუძლიათ ამ სივრცეებით, პარკებით, სკვერებითა და სპორტული მოედნებით, სარგებლობა.
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია გენდერულად მგრძნობიარე დასასვენებელი და სპორტული სივრცეები და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი გარემო დასვენებისა და გართობისთვის.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 5- გენდერული თანასწორობა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 05 01 01
ქვეპროგრამის დასახელება:	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა რეაბილიტაცია, მშენებლობა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	833.9 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა და ვიზიტორთა დასვენებისა და ქვეპროგრამის მიზანი მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა. ქვეპროგრამის აღწერა მოეწყობა ე.წ მინი სტადიონები 1. სოფელ ქვიშხეთში სკვერის და სტადიონის მოწყობის სამუშაოები 300,0 ლარი (ბენეფიციარი 500) 2. სოფელ ქემფერში მინი სტადიონის მოწყობა 160,0 ათასი ლარი (200 ბენეფიციარი) 3. სპორტკომპლექსის ეზოში არსებული სტადიონის რეაბილიტაცია 327,47 ათასი ლარი (2500 ბენეფიციარი) 4. თევდორე მღვდლის ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაცია 60,0 ათასი ლარი (300 ბენეფიციარი), 5. ვაჟა ფშაველას ქუჩაზე (ყოფილი ყველმრეწვის ტერიტორიაზე) არსებული სტადიონის და სკვერის რეაბილიტაცია 40,0 ათასი ლარი (ბენეფიციარი 150) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 01 აპრილის N581 განკარგულება 1. სოფელ ჩორჩანაში სპორტული მოედნის მოწყობა ასევე წინა წლების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 2,5%-ის ანაზღაურება. ასევე წინა წლის ვალდებულებების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 2,5%-ის ანაზღაურება.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მოწყობილია გენდერულად პასუხისმგებლიანი, სუფთა და უსაფრთხო სპორტული სივრცეები მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისთვის
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 5- გენდერული თანასწორობა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 05 01 02
ქვეპროგრამის დასახელება:	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკების და სკვერების მოწყობა რეაბილიტაცია
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური;
დაფინანსება	963.7 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	• ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების რეაბილიტაცია/მშენებლობა, ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი და კომფორტული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებში, ადმინისტრაციული და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების რეაბილიტაცია/მშენებლობა. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულება) 1. ხაშურში შინდარის დასახლებაში სკვერის მოწყობის სამუშაოები“ პროექტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო ღირებულების თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან (5% 179,12 ათასი ლარი 264 გრძ/მ, ისარგებლბს 800 ბენეფიციარი (2024 წლიდან გარდამავალი პროექტები). ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება 1. ქალაქ ხაშურში, წმინდა დიმიტრი ყიფიანის ბიუსტისათვის პიედესტალის მოწყობის სამუშაოები 22,90 ათასი ლარი, 2, ქალაქ ხაშურში გაგარინის ქ სკვერის სამუშაოების შესყიდვა 381,89 ათასი ლარი, ასევე წინა წლის ვალდებულებების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 2,5%-ის ანაზღაურება.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი და გასართობი სივრცე
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 05 01 03
ქვეპროგრამის დასახელება:	ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის ეკონომიკური განვითარების სამსახური;
დაფინანსება	59.0 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	• ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების დეკორატიული გაფორმებები • ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების დეკორატიული გაფორმებები ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა დღესასწაულების დროს (შობა-ახალი წელი, ხაშური-ოქროს შემოდგომა და სხვა) ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შედეგი	სხვადასხვა დღესასწაულების დროს უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ქალაქგაფორმება და შექმნილია ესთეტიკური გარემო დასასვენებისა და გართობისთვის
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები



ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 05 01 04 02
ქვეპროგრამის დასახელება:	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	78.1 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანი: ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16-ე მუხლის მეორე პუნქტის „ს)“ ქვეპუნქტის შესაბამისად მხოლოდ თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება სასაფლაოების მოვლა-პატრონობის საკითხზე; „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა - პატრონობის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 ივლისის №60 დადგენილება განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის – ხაშურის მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობისა და მართვის, მოვლა-პატრონობის, სარიტუალო მომსახურების, სასაფლაოების დახურვის, გაუქმების ლიკვიდაციისა და ახალი სასაფლაოების გახსნის წესებს. აღნიშნული წესით სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის (სტატუსის მინიჭების) შემდეგ საფლაოების (სამარხების) ქაოტურად განთავსებისა და მოუხერხებელი გარემოს შექმნისაგან თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება სასაფლაოს დაგეგმარება, რომელიც უნდა განხორციელდეს შესაბამისი წესით დამტკიცებული პროექტის მიხედვით, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს: ა) დასაფლავებისათვის ნაკვეთების (სექტორების) გამოყოფა და მათი გამოყენების რიგითობა; ბ) გასასვლელებისა და ფეხით სავალი გზების მიმართულება, ზომები და კეთილმოწყობა; გ) მწვანე ნარგავების განთავსება და ხასიათი; დ) სასაფლაოს ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობები და ნაგებობები (საოფისე შენობა, წყალგაყვანილობა, ყვავილების მაღაზია, საზოგადოებრივი ტუალეტი, დაკრძალვის წინ ცხედრის დასასვენებლად (სამოქალაქო პანაშვიდი და ა. შ.) განკუთვნილი სპეციალური შენობა და ა. შ; ე) სასაფლაოს გამწვანება, სასაფლაოს პერიმეტრის გასწვრივ დამცავი მწვანე ნარგავების გაშენება და დეკორატიული ნარგავების დარგვა. ძირითად ხეივნებსა და დაკრძალვის ადგილებში საკმარისი განიავეების უზრუნველყოფით; ვ) სასაფლაოს შესასვლელებში სავტომობილო სადგომის მოწყობა; ზ) საფლაოებისა და საფლაოში და სამარხების აღრიცხვა-ნუმერაცია და სხვა. ამ საქმიანობას და სასაფლაოების მართვას წესის მე-6-ე მუხლის მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხაშურსერვისი“, რომლის მართვაში საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება იყოს როგორც ახალი სასაფლაოს ტერიტორია, ასევე უკვე არსებული სასაფლაო (სასაფლაოები). სასაფლაოების მმართველი „ხაშურსერვისი“ ახორციელებს სასაფლაოების მართვასთან, მათ მოვლა-პატრონობასთან, გარდაცვლილის ნეშტის დაკრძალვასთან დაკავშირებით საჭირო შესაბამის მომსახურებას და ვალდებულია განახორციელოს შემდეგი მომსახურება: ა) სასაფლაოებზე საფლაოების (სამარხების) დადგენილი წესით გამოყოფა; ბ) სასაფლაოზე გამოყოფილი სამარის გათხრა და ამოვსება; გ) გარდაცვლილის სამარეში ჩასვენება; დ) სამარხზე სარეგისტრაციო ფირფიტის დაყენება, საფლაოებისა და საფლაოში სამარხების



	აღრიცხვა-ნუმერაცია და სხვა; ე) სასაფლაოების გასასვლელების, ბილიკების, საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების და არსებული ქონების მოვლა-პატრონობა; ვ) დანატერესებული პირებისათვის სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე შესაბამისი მომსახურების გაწევა; ზ) საფლავის პასპორტის გაცემა ახალი საფლავის გაცემისას; თ) საქართველოს კანონმდებლობით აუკრძალავი სხვა მომსახურების გაწევა.
მოსალოდნელი შედეგი	შეთავაზებული სერვისების სახეობების და მოცულობის შესახებ მონაცემების 25%-ნი ზრდის მაჩვენებელი სათანადოდ დამოწმებული განხორციელებული ღონისძიებების შესახებ მონაცემები 1-ჯერ აღემატება მანამდე არსებულ მონაცემებს სათანადოდ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და რაოდენობის შესახებ მონაცემები 2-ჯერ აღემატება მანამდე არსებულ მონაცემებს
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 06
პროგრამის დასახელება:	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური;
დაფინანსება	2 586.2 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	• პროგრამის მიზანი: სოფლად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ქვეპროგრამის აღწერა: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდება სოფლად მნიშვნელოვანი პროექტები სოფლის კრებების/კონსულტაციების ფონზე, სადაც მოსახლეობამ თავის სოფელში შემდეგი პროექტების განხორციელებას უნდა დაუჭიროს მხარი, იგი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რეგონდის) ქვეკომპონენტია, რომლის ფარგლებშიც, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საკეთილდღეოდ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება, მოსახლეობა დასახლებების მიხედვით ხმათა უმრავლესობით განსაზღვრავს. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 05.02.2021 N168 განკარგულება განსახორციელებელი ღონისძიებები გათვალისწინებულია თანხით 4,70 ათასი ლარი, საქართველოს მთავრობის 15.02.2022 N277 განკარგულება 56.5 ათასი ლარი, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულება 73.2 ათასი ლარი, საქართველოს მთავრობის 28.12.2023 N2401 განკარგულება 210.9 ათასი ლარი, თანადაფინანსება ადგილობრივი სახსრებით 131.7 ლარი, საქართველოს მთავრობის 16.01.2025 N53 904,0 ათასი ლარი თანადაფინანსება ადგილობრივი სახსრებით 500,0 ლარი, ასევე წინა წლის გარდამავალი ხელშეკრულებები და ვალდებულებების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 2,5%-ის ანაზრაურება.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: სოფლად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული პროექტები და ცხოვრების დონის ამაღლება და მოსახლეობის სოფლად დამკვიდრება.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 07
პროგრამის დასახელება:	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა



პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური;
დაფინანსება	1 616.2 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანი: ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციებით უზრუნველყოფა და შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების სამუშაოს ხარისხის კონტროლი, ზედამხედველობა გაეწიოს პროექტების განხორციელებას, შეძენილი იქნას მომავალში განსახორციელებელი პროექტები. პროგრამის აღწერა: სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სამიეზო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება; დამუშავებული პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო სრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადება. შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის დადგენის მიზნით მიმდინარე და დასრულებულ სამუშაოებზე ეტაპობრივი ექსპერტიზის განხორციელება. ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: ზედამხედველობა გაეწიოს პროექტების განხორციელებას, შეძენილი იქნას მომავალში განსახორციელებელი პროექტები. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებულია დროულად და კვალიფიციურად; ინფრასტრუქტურული პროექტები შესრულებულია გენდერული ასპექტების გათვალისწინებითა და მაღალი ხარისხით, აკმაყოფილებს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს) ხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოები, შეძენილი პროექტები.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 08
პროგრამის დასახელება:	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური;
დაფინანსება	1 794,5 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	სტიქიის პრევენციის მიზნით განხორციელებულია ღონისძიებები, მოწყობილია გაბიონები და მოსახლეობისათვის შექმნილია დაცული და უსაფრთხო გარემო
	პროგრამის მიზანი: სტიქიის პრევენციის ღონისძიებების განხორციელება, გაბიონების მოწყობა. სტიქიის პრევენცია. პროგრამის აღწერა: აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სტიქიის პრევენციის ღონისძიებების განხორციელება, მდ. სურამულას, ბიჯნისულასა და შოლასზე გაბიონების მოწყობა. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულება) 1. მოწყობილი გაბიონები „ქალაქ ხაშურში მდინარე შოლას მარცხენა სანაპიროს ნაპირსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოები“ პროექტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო ღირებულების თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან (5%) 759,28 ათასი ლარი 270 გრძ/მ 100 ზენეფიციარი საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვარი N186 განკარგულება) 1. სოფელ ვაყაში, მდინარე ჭერათხევის

	მონაკვეთზე დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის მიმდებარე (დამეწყობილი მონაკვეთის) რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა პროექტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო ღირებულების თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან (5%) 665,64 ათასი ლარი 150 გრძ/მ 1160 ბენეფიციარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 . სოფელ დიდ ფლევში და სოფელ ტკოცაში საყრდენი კედლების მოწყობა სოფელ დიდ ფლევში და სოფელ ტკოცაში საყრდენი კედლების მოწყობა ასევე წინა წლის ვალდებულებების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 2,5%-ის ანაზარაუდება.
მოსალოდნელი შედეგი	სტიქიისაგან დაცული მოსახლეობა, მოწყობილი გაბიონები.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები მიზანი 13 - კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 09
პროგრამის დასახელება:	მოქალაქეთა თანამონაწილეობითი ბიუჯეტი
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური;
დაფინანსება	0.3 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	- პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანი: საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება და მისი მეშვეობით მუნიციპალიტეტის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა. პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის. ხაშურის მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად, საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთა განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები. მონაწილეობითი ბიუჯეტი, პრაქტიკაში გამოიყენებენ, როგორც (თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება) რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიური დემოკრატიის, იწვევს საჯარო სექტორის მოდერნიზაციასა, ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდას და წარმოადგენს მასსა და მოსახლეობას შორის დემოკრატიულ დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიან პროცესს. მოწილეობითი ბიუჯეტირების არსი ისაა, რომ მოსახლეობა თავად განსაზღვრავს საკუთარ საჭიროებებს და თავადვე წყვეტს, თუ რა პროექტები უნდა განხორციელდეს, მონაწილეობითი ბიუჯეტირება, როგორც გადაწყვეტილების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთი მაღალი საფეხური, დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც. მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი, უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხალხი აწარმოებს დიალოგს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. მონაწილეობითი ბიუჯეტირება ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას და ქალებისა და კაცების თანაბარ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია ადგილობრივ საჭიროებების იდენტიფიცირებაში მოქალაქეთა ჩართულობა და წარმოდგენილი ინიციატივების შესაბამისი მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურული გარემო, გაზრდილია მერიის მხრიდან, საზოგადოების საბიუჯეტო პროცესების ინფორმირება გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებულებითი და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.

დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ერთერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს გარემოს დაცვა და დასუფთავება, მწვანე ნარგავების, სკვერების, წყლის სისტემების და შადრევნების მოვლა-პატრონობა, განვითარება.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
-------------------------------	------------	-----------------	-----------------	-----------------



03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 191.39	3 029,1	2 498.9
03 01	ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქის და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების პროგრამა	1 146.00	1 631,4	1 750.1
03 01 01	ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქის და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების პროგრამა	1 125.53	1 315,5	1 750.1
03 01 02	მდინარეების, არხების რეაბილიტაციისა და გაწმენდის ღონისძიებები	20.48	315,9	0.0
03 02	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	534.69	839.20	104.30
03 02 01	დასუფთავებისათვის სპეცტექნიკის შეძენა	534.69	839.200	104.3
03 03	მწვანე ნარგავების, ს მოვლა-პატრონობა, განვითარება	281.87	329,2	384.8
03 03 01	მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების და მწვანე ნარგავების, სპორტული მოედნების, დასავენებელი პარკების და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (ხაშურსერვისი)	0,00	0,00	0.00
03 03 02	მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების და მწვანე ნარგავების, სპორტული მოედნების, დასავენებელი პარკების და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (წყლის და გამწვანების კომპანია)	281.87	329,2	384.8
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის ხელშეწყობის პროგრამა	0,00	0.00	0.00
03 05	უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობა და მათი პოპულაციების მართვა და ხელშეწყობა (ა(ა)იპ „მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო“)	228.82	229.4	259,8

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 01
პროგრამის დასახელება:	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების პროგრამა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური;
დაფინანსება	1 750.1ათასი ლარი
	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივი სუფთა გარემოს არსებობა, მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება. პროგრამის ფარგლებში - ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებებია: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავების გამართული სერვისი - მყარი ნარჩენების მართვა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის დარიგების მომსახურება. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება. ნარჩენების მართვის პროცესში მოხდება გენდერული ასპექტების გათვალისწინება. კეთილმოწყობის წესების ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს კეთილმოწყობის ობიექტების დალაგებას, დასუფთავებას, სანიტარული პირობების დაცვას, ნარჩენების გატანას და მათ ეკოლოგიურად უსაფრთხო უტილიზაციას. გათვალისწინებულ უნდა იყოს სეზონების



პროგრამის მიზანი და აღწერა	მიხედვით ჩასატარებელი დასუფთავების სამუშაოები (ზამთრის პერიოდში თოვლისა და ყინულისგან გაწმენდა, ზაფხულის პერიოდში მორწყვა და ა.შ.). დაგვილი და დასუფთავებული ქუჩები მოედნები და ტროტუარები გაწმენდილი კიუვეტები და ნიაღვარგამშვებები მოსახლეობის ორგანიზაციების კვებისა და სავაჭრო ობიექტების მიერ წარმოქმნილი ნარჩენებისაგან გათავისუფლებული სანაგვე ურნების მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალაქის ესთეტიკურ იერსახეზე ხოლო მეორეს მხრივ ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურების ხარისხზე ქვეპროგრამას საფუძვლად უდევს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ქვეპუნქტი თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში ქუჩების დასუფთავება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელების უზრუნველყოფა. პროგრამა მიმართულია დადგენილი პერიოდულობით მოსახლეობის სიმჭიდროვის პრესტიჟულობის ადგილ მდებარეობის გათვალისწინებით შესაბამისად ქალაქ ხაშურის და დაბა სურამის ცენტრალური ქუჩების მოედნების და ტროტუარების დაგვა დასუფთავებისას წარმოქმნილი გადანაყარის გატანის მომსახურება. მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება (კონტეინერების და სპესცავტომანქანების შეძენა) მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადად ქალები არიან ჩართული საოჯახო საქმეებში და მათი არაანაზღაურებადი შრომის ნაწილია საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე ზრუნვა.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში გამართულად ფუნქციონირებს ნარჩენების მართვის სისტემა და გაუმჯობესებულია ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა; მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა;
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 01 01
ქვეპროგრამის დასახელება:	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონიამიებების პროგრამა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური;
დაფინანსება	1 750.1ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	· ქვეპროგრამის მიზანია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივი სუფთა გარემოს არსებობა. ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავების გამართული სერვისი - მყარი ნარჩენების მართვა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის დარიგების მომსახურება. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება. კეთილმოწყობის წესების ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს კეთილმოწყობის ობიექტების დალაგებას, დასუფთავებას, სანიტარული პირობების დაცვას, ნარჩენების გატანას და მათ ეკოლოგიურად უსაფრთხო უტილიზაციას. გათვალისწინებულ უნდა იყოს სეზონების მიხედვით ჩასატარებელი დასუფთავების სამუშაოები (ზამთრის პერიოდში თოვლისა და ყინულისგან გაწმენდა, ზაფხულის პერიოდში მორწყვა და ა.შ.). დაგვილი და დასუფთავებული ქუჩები მოედნები და ტროტუარები გაწმენდილი კიუვეტები და ნიაღვარგამშვებები მოსახლეობის ორგანიზაციების კვებისა და სავაჭრო ობიექტების მიერ წარმოქმნილი ნარჩენებისაგან გათავისუფლებული სანაგვე ურნების მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალაქის ესთეტიკურ იერსახეზე ხოლო მეორეს მხრივ ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურების ხარისხზე ქვეპროგრამას საფუძვლად უდევს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ქვეპუნქტი თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში ქუჩების დასუფთავება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელების უზრუნველყოფა. პროგრამა მიმართულია დადგენილი პერიოდულობით მოსახლეობის სიმჭიდროვის პრესტიჟულობის ადგილ მდებარეობის გათვალისწინებით შესაბამისად ქალაქ ხაშურის და დაბა სურამის ცენტრალური ქუჩების მოედნების და ტროტუარების დაგვა დასუფთავებისას წარმოქმნილი გადანაყარის გატანის მომსახურება მოიცავს ა) განსაზღვრული ტერიტორიების დაგვა დასუფთავებისას წარმოქმნილი და წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მოგროვილი მონახვეტი გადანაყარის გატანა ნაგავსაყრელზე ბ) მოედნებისა და ქუჩის ტროტუარების და სავალი ნაწილის დაგვა დასუფთავებისას წარმოქმნილი და წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მოგროვილი მონახვეტი გადანაყარის გატანა ნაგავსაყრელზე გ) დანალექი მასისაგან და სარეველა მცენარეებისაგან ტროტუარის კიდეების ბორდიურების და სავალი ნაწილის ნაწიბურის გასუფთავებისას წარმოქმნილი და წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მოგროვილი მონახვეტი გადანაყარის გატანა ნაგავსაყრელზე დ) საავტომობილო ცენტრალური მაგისტრალების მიმდებარე ტერიტორიების ორივე მხარეს დასუფთავება გაწმენდა და მოგროვილი გადანაყარის სპეც ავტომანქანაზე დატვირთვა და ნაგავსაყრელზე გატანა მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურება და ქალაქ ხაშურის ტერიტორიაზე მდებარე ორგანიზაციების საწარმოების კულტურულ აღმზრდელობითი და სხვა დაწესებულებების კვების და სავაჭრო ობიექტების მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის



	მომსახურება მოიცავს ა დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებში მცხოვრები მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას სპეც ავტოტრანსპორტზე დატვირთვას და ნაგავსაყრელზე გატანას ცხრილი ის შესაბამისად ბ დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე მდებარე ორგანიზაციების საწარმოების კულტურულ აღმზრდელობითი და სხვა დაწესებულებების კვების და სავაჭრო ობიექტების მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას სპეც ავტოტრანსპორტზე დატვირთვას და ნაგავსაყრელზე გატანას ქალაქ ხაშურში დაბა სურამში განთავსებული კონტეინერების და ხელით დასაცვლილი სანაგვე ურნების დასუფთავებისა და მოგროვილი ნარჩენების ნაგვის ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე გატანის მომსახურება მოიცავს ა) დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე არსებული სანაგვე კონტეინერების დასუფთავებას და მოგროვილი ნარჩენების ნაგვის სპეც ავტოტრანსპორტზე დატვირთვას და ნაგავსაყრელზე გატანას ბ) სანაგვე კონტეინერების განთავსების ადგილების დაგვა დასუფთავებას გ) ხელით დასაცვლილი პატარა მოცულობის სანაგვე ურნების დასუფთავებას და მოგროვილი ნარჩენების ნაგვის სპეც ავტოტრანსპორტზე დატვირთვას და ნაგავსაყრელზე გატანას. ქალაქის ტერიტორიაზე არსებული კიუვეტების ნიაღვრგამშენების წყალსანიერების სისტემების წმენდა და გატანის მომსახურება მოიცავს ა) კიუვეტების და არხების წმენდა დასუფთავება და კიუვეტების და არხების წმენდისას განსაზღვრულ ადგილებში შეგროვილი დანალექი მასის დატვირთვა და ნაგავსაყრელზე გატანა მომსახურება ხორციელდება ქალაქ ხაშურში დაბა სურამში, სოფელი ქვიშხეთი, სოფელი რუსაანთუბანი, სოფელი სათივე, სოფელი ტეხერი, სოფელი სავანისუბანი, სოფელი ყიფიანთუბანი, სოფელი ტაშისკარი, სოფელი სარმანიშვილისკარი. სოფელი ცხრამუხა, სოფელი თავკეთი. სოფელი რბონა სოფელი გომი, სოფელი აგარები, სოფელი ვაყა, სოფელი დიდი სატივე. სოფელი ზემო ოსიაური, სოფელი ქვემო ოსიაური, სოფელი ახალსოფელი, სოფელი პატარა სატივე, სოფელი ქვემო აძვისი, სოფელი ხიდისყური, სოფელი წრომი, სოფელი დიდი ყელეთი, სოფელი ახალშენი, სოფელი იმერლიანთ კარი, სოფელი ნადარბაზევი. სოფელი ხცისი, სოფელი მიწოზი. სოფელი დიდი ხალები, სოფელი პატარა ხალები, სოფელი ღვრიაწყალი, სოფელი ღართა. სოფელი ცოცხნარა, სოფელი ქემფერი, სოფელი ოძისი, სოფელი ცეცხლი, სოფელი წაბლოვანა, სოფელი ციფყარო. სოფელი დიდი ფლევი, სოფელი პატარა ფლევი, სოფელი ნაცარგორა, ტკოცა. სოფელი ალი, უწლევი, ნაბახტევი, მცხეთიჯვარი, დუმატხოვი, ზემო აძვისი, კლდისწყარო, ბრილი, ახალუბანი, ქინმათი. სოფელი წაღვი, სოფელი ქვემო ბროლოვანი, სოფელი კლდისწყარო, წელვერი, ჩორჩანა. სულ დაგვა დასუფთავების ფართობები ქალაქ ხაშურში 48100 მ² და დაბა სურამში 15500 მ², სულ 63600 მ² ხოლო ნაგვის ურნების რაოდენობა 937 ცალია სხვადასხვა ტევადობით.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: უზრუნველყოფილია ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტებიდან და ქალაქსა და დაბაში საზოგადოებრივი სივრცეების დაგვა-დასუფთავება
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 02
პროგრამის დასახელება:	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	104.3 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	· პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში ქუჩების დასუფთავება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების გაუმჯობესება და ხელშეწყობა, მათ შორის ნაგავმზიდი სპეცმანქანების და სანაგვე კონტეინერების შეძენა, რითაც ისარგებლებს მოსახლეობა და დამსვენებლები საკურორტო სეზონზე.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებული ნარჩენების მართვის მუნიციპალური სერვისები
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება

პროგრამის დასახელება:	დასუფთავებისათვის სპეცტექნიკის შეძენა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	104.3 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	· ქვეპროგრამის მიზანია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება. პროგრამის აღწერა: თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში ქუჩების დასუფთავება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა გატანის მომსახურების გაუმჯობესება და ხელშეწყობა, მათ შორის 1, სანაგვე კონტეინერების შეძენა 70 ცალი, ისარგებლებს 2500 ბენეფიციარი.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: უზრუნველყოფილია ქალაქი, დაბა და სოფელები საჭირო ტექნიკით
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 03
ქვეპროგრამის დასახელება:	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „წყლისა და გამწვანების კომპანია“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური;
დაფინანსება	384.8 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	· ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მცენარეთა ფიტო-სანიტარიული მდგრადობის შენარჩუნება, არსებული სკვერების, პარკების და მწვანე საფარიანი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა. ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეღვითი სამუშაოები. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებსა და პარკებში უზრუნველყოფილია გამწვანება და ნარგავების მოვლა-პატრონობა და მოსახლეობის კომფორტული დასვენებისთვის შექმნილია ეკოლოგიურად სუფთა გარემო
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 03 02
ქვეპროგრამის დასახელება:	მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა და განვითარება
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „წყლისა და გამწვანების კომპანია“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურს;
დაფინანსება	384.8 ათასი ლარი
	· ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერებისა და პარკების მოვლა-



ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	პატრონობა. ქვეპროგრამის ფარგლებში გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა, მცენარეთა ფიტო-სანიტარიული და ეკოლოგიური მდგომარეობა, მოსახლეობის დასვენების პირობები. უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 35 ერთეული, 53050 კვ/მ საერთო ფართობის სკვერი, პარკი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა; გამწვანებული, ეკოლოგიურად სუფთა და ამორტიზირებული ხეებისგან დაცული გარემო; ქალაქის ატმოსფეროს გაუმჯობესება მწვანე საფარის, გაზონებისა და ხე-მცენარეების, ბუჩქებისა და ყვავილნარების შენარჩუნება-გაუმჯობესებისათვის განხორციელებული ღონისძიებების შესრულება, მოქალაქეთა ესთეტიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მოქალაქეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (სკვერები, გაზონები და ა.შ) სხვადასხვა ჯიშისა და შეთანაწყობებული ფერების ყვავილნარების მოწყობის, დეკორატიული ბუჩქებისა და ხე-მცენარეების ფორმირებისა და მოვლა პატრონობის ჩატარებული სამუშაოების მოცულობა ქალაქის იერ-სახის და ეკოსისტემის გაუმჯობესება მოქალაქეთა მიერ გამოხატული აზრით შეფასება.
მოსალოდნელი შედეგი	გამწვანებულია მუნიციპალიტეტის სკვერებისა და პარკები, გაუმჯობესებულია მცენარეთა ფიტო-სანიტარიული და ეკოლოგიური მდგომარეობა და მოსახლეობის დასვენებისთვის შექმნილია პირობები.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 05
პროგრამის დასახელება:	უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობა და მათი პოპულაციების მართვა და ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობა და მათი პოპულაციების მართვა და ხელშეწყობა (ა)იპ „მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო“)
დაფინანსება	259,8 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	• პროგრამის მიზანი: ადამიანისა და შინაური ცხოველის უსაფრთხო თანარსებობისათვის მდგრადი გარემოს შექმნა პროგრამის ფარგლებში ხდება მიუსაფარი შინაური ცხოველებთან ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა: შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით შინაური ცხოველების დაჭერა და დროებით თავშესაფარში განთავსება, მათზე სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება: ექიმ-ვეტერინარის ან კინოლოგის/ფელინოლოგის მიერ ცხოველის ვიზუალური დათვალიერება-დაკვირვება, ცხოველის ბიომასალის ლაბორატორიული კვლევა, მკურნალობა, ვაქცინაცია, ოპერაციების ჩატარება, სიცოცხლესთან შეუთავსებელი მდგომარეობის მქონე ცხოველის ევთანაზია.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ადამიანისა და შინაური ცხოველების თანარსებობისათვის შექმნილი უსაფრთხო გარემო
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 15: დედამიწის ეკოსისტემები

განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

1994 წელს ბავშვთა უფლებების დეკლარაციის რატიფიცირებით საქართველომ დაადასტურა რომ აღიარებს ყოველი ბავშვის უფლებას ჰქონდეს ისეთი ცხოვრების სტანდარტი რაც ადეკვატურია ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარებისათვის საქართველოს მთავრობამ აიღო ძლიერი ვალდებულება ადრეული ასაკიდან ბავშვთა განვითარების პრინციპების მიმართ და მხარს უჭერს ბავშვთა განვითარებული, ემოციურად დაცული, სოციალურად ადაპტირებული სწავლის შესაძლებლობის რაც დადასტურებულია ეროვნული პოლიტიკით და



დემონსტრირებულია მიმდინარე პროგრამებით. განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა შეიქმნას მყარი საფუძველი აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება. აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
04 00	განათლება	3 510.81	4 075,2	6 000.5
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	3 507.48	4 075,2	5 280,8
04 02	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	3.33	0,0	719.7

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 01
პროგრამის დასახელება:	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ განმახორციელებელი ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება – საბავშვო ბაღების გაერთიანება“.
დაფინანსება	5 280,8 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	· პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის ს მომზადებას, ბავშვთა აზროვნებას და ნებისყოფის ფორმირებას, მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის ძირითადი მიმართულებები: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნითა და ინკლუზიური სწავლების დანერგვით უზრუნველყოფილი იქნება თანაბარი ხელმისაწვდომობა. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი



	სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები „HACCP“ პროგრამის შესაბამისად.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის სფეროს თანაბარი ხელმისაწვდომობა 2-დან 6 წლამდე ბავშვებისთვის და ხელშეწყობილია სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მისაღებად.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 01 01
ქვეპროგრამის დასახელება:	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ განმახორციელებელი ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება – საბავშვო ბაღების გაერთიანება“.
დაფინანსება	5 274,3 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	• ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნებას და ნებისყოფის ფორმირებას, მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. პროგრამის არსი პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებას სასწავლო და არასასწავლო პერიოდში; ადგილობრივი თვითმმართველობა ხელს უწყობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების– საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას; ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელ პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება – საბავშვო ბაღების გაერთიანება“. გაერთიანება მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს- №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14 15, №16, №17, №18 საბავშვო ბაღს და სამ ალტერნატიულ საადმინისტრაციო ჯგუფს სოფელ წაღვლში სოფელ ბიჯნისში და . მათ შორის ხაშურში განთავსებულია №1–№8 საბავშვო ბაღები, №9 დაბა სურამში, №10 სოფელ ცხრამუხაში, №11 სოფელ ალში, №12 სოფელ ოსიაურში, №13 სოფელ გომში, №14 სოფელ ვაყაში, №15 სოფელ ქვიშეთში, №16 სოფელ წრომში, №17 სოფელ ტეხერში, №18 სოფელ სატივეში და გათვლილია 2 000 ბავშვზე; ფაქტობრივად 2024 წლის 1 სექტემბრისათვის რეგისტრირებული აღსაზრდელი შეადგენდა 1480 ბავშვს (ბიჭი 51.9%,გოგო 48.1%),კონტიგენტი ქალაქად 1076 ბავშვია,მ.შ. ბიჭი-52%,გოგო-48%,სოფლადა 404 ბავშვი, მ.შ. ბიჭი-51.7%,გოგო-48.3%.სულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულია -353 თანამშრომელი მ.შ. 88 კაცი და 265 ქალი.(18 დირექტორი,64 აღმზრდელი,72 აღმზრდელის თანამემწე ,5 სპეც.მასწავლებელი, ხოლო 194 დანარჩენი პერსონალია. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი საადმინისტრაციო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამით დაგეგმილია სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.



მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო გარემო და უზრუნველყოფილია ბავშვთა ადრეული განვითარება და სასკოლო მზაობა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 01 02
პროგრამის დასახელება:	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განვითარების სამსახური
დაფინანსება	6,541 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	- პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, პროცედურების გეგმაზომიერად განხორციელება
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება განათლების სფეროში.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 02
პროგრამის დასახელება:	საჯარო სკოლების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განვითარების სამსახური
დაფინანსება	719.7 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	- პროგრამის მიზანი: ზოგადი განათლების ხელშეწყობა მუნიციპალური პროგრამებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სასკოლო დაწესებულებების მუშაობის კოორდინაციას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში, მცირე მოცულობის კაპიტალური პროექტების განხორციელება (შშმ პირების გადაადგილებისათვის ადაპტირებული პირობების შექმნა, სველი წერტილების მოწყობა და სხვა).



	მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის #27 განკარგულების საფუძველზე საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები, საქართველოს მთავრობის 04.02.2021 N147 , განკარგულების საფუძველზე. საქართველოს მთავრობის 14.01.2022 N51 განკარგულება საქართველოს მთავრობის 23.01.2023 N147 განკარგულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან წინა წლის ვალდებულებების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 2,5% ის ანაზღაურება.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ხელშეწყობილია ზოგადი განათლება პროექტი ხელს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას განათლების სფეროში.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. შესაბამისად გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლენა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა, და სპორტი	6 040.98	6 259,3	8 655.8
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 102.82	1 766,6	2 240,1
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	357.31	409,2	471.6
05 01 02	სპორტული სკოლების ხელშეწყობა	735.44	925,1	1 157,2
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა და რეაბილიტაცია	10.07	432,2	611,3
05 01 03 01	სპორტული კომპლექსების და მოედნების მშენებლობა	10.07	0,0	0,00
05 01 03 02	ქ. ხაშურში და დაბა სურამში ცენტრალური სტადიონების მშენებლობა	0.00	432,2	611,3
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4 294.72	3 923,2	5 819.9
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	199.03	202,8	233,5
05 02 02	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	429.40	548,8	2 399,3
05 02 03	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	206.53	229,7	333,9
05 02 04	კულტურის ცენტრების ხელშეწყობა	3 026.43	2 423,4	2 290.7
05 02 04 01	კულტურის ცენტრების და სკვერების რეაბილიტაცია	2 416.72	1 022,5	714.2



05 02 04 02	კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების ხელშეწყობა	410.92	460,6	602.0
05 02 04 03	საქალაქო კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია	1.98.80	940,3	977.9
05 02 04 04	ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა	0,00	0,00	1,6
05 02 05	მუზეუმების ხელშეწყობა	249.79	289,4	345,1
05 02 06	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	53.54	63,1	86,8
05 02 07	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	130,00	130,0	130,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭრა	643.45	569,5	595.9

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01
პროგრამის დასახელება:	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური” ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლა (ს/კ243916143)
დაფინანსება	2 240,1 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქსა და სოფლად მოზარდების სხვადასხვა სპორტულ ჯგუფებში გაერთიანებას, ინტენსიური წვრთნის პროცესის მიმდინარეობას, რაც იქნება ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და ფიზიკური სრულყოფის საფუძველი. მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია (ვრცელდება 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ღონისძიებებზე) მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. ა(ა)იპ-ი ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს როგორც სამოყვარულო, ასევე პროფესიული სპორტის მიმართულებით. ღონისძიებებს ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით და ხელს უწყობს მის დანერგვას და პოპულარიზაციას. ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და ანხორციელებს მათ დაჯილდოვებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ წრეებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ერთი ქ. ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა და ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული დარბაზები და სტადიონები, სადაც მიმდინარეობს სწავლება სპორტის 12 ძირითად სახეობაში. მეცადინეოები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე სტადიონებზე და სპორტულ დარბაზებში. აღნიშნული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“ მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა. პროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში



	გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა; სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები ჩართულია სპორტულ განვითარებაში და წახალისებულია სპორტული მიღწევები
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 01
ქვეპროგრამის დასახელება:	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური” ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლა (ს/კ243916143)
დაფინანსება	471,6 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამისმიზანია: - სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა და სპორტულ სკოლასა და სექციებში გაერთიანებული ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობა. მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენების მონაწილეობის ხელშეწყობა სხვადასხვა რანგის გასვლით სპორტულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობა სპორტულ გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება; ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული ღონისძიებების ჩატარება და მონიტორინგი, სპორტული ღონისძიებები ჩატარდება სხვადასხვა სახეობებში ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობა, ბატუტზე ხტომა, ჩოგბურთი, მკლავჭიდი, ძალოსნობა, ჭადრაკი, კალათბურთი, რაგბი, ფეხბურთი, მუნიციპალიტეტის მკვიდრი, მოქმედი წარმატებული სპორტსმენების, საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტებით (ვიტამინი) უზრუნველყოფა, მწვრთნელისა და წარმომადგენლის სამივილინგო ხარჯები, სხვა დანარჩენი ადგილობრივი ტურნირები, "სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში ფასიანი საჩუქრების გადაცემა. წარმატებული სპორტსმენების პოპულარიზაცია".2024-2025 წელს სპორტის სფეროში გამორჩეული მოღვაწეობისათვის და საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ ტურნირებში ხაშურის სახელით მოასპარეზე სპორტსმენების მიღწევებისათვის დაჯილდოების ხარჯები, დამსახურებულ მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები, ადგილობრივი ტურნირების (საქართველოს ჩემპიონატები) მომსახურე პერსონალის კვებითი მომსახურეობის ხარჯი 5 ტურნირზე, ინვენტარი. ტურნირზე გამარჯვებული გუნდებისა და სკოლებისათვის ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა, ამ გზით მათი სპორტული მიღწევების და შემდგომი პროგრესის ხელშეწყობა. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მონაწილე სპორტსმენების და გუნდების ეკიპირების, სიგელების და თასების შესყიდვას. საერთაშორისო და საქართველოს ჩემპიონატებში წარმატებული სპორტსმენების წახალისებას. პროგრამის ძირითადი ღონისძიებებია მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში პირველობებსა და ჩემპიონატებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობის მიღება. მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება. რესპუბლიკურ ტურნირებზე სპორტსმენთა მივლინება. სასწავლო საწვრთნელი და ფიზიკური მომზადებისათვის შეკრებების მოწყობა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს პერსპექტიული სპორტსმენთა წახალისებას (დახმარება) და გარკვეული თანხით წახალისებას სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად, პროგრამით მოსარგებლე სპორტსმენმა უნდა დაასაბუთოს რა სპორტული შედეგის გაუმჯობესებისათვის ესაჭიროება კონკრეტულ სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობა. სპორტული ღონისძიებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ხელშეწყობა. ქვეპროგრამა შესაძლებლობას აძლევს შშმ პირებს მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში. აგრეთვე გათვალისწინებულია წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტსმენების დაჯილდოება, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში და წარმოაჩენენ თავს მიღწეული შედეგებით.



მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილი არიან პერსპექტიული სპორტსმენები და უზრუნველყოფილია სპორტსმენტა შემდგომი დაოსტატება, შექმნილია პირობები სპორტის ეროვნულ და ოლიმპიურ სახეობათა პოპულარიზაციისთვის
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 02
ქვეპროგრამის დასახელება:	სპორტული სკოლების ხელშეწყობა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ განმახორციელებელი ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლა (ს/კ243916143)
დაფინანსება	1 157,2 ათასი ლარი
	ქვეპროგრამის მიზანია: სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია, ტრადიციული სპორტის მხარდაჭერა; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში და პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. მუნიციპალიტეტის დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. კომპლექსურ სასპორტო სკოლაში გაწევრიანებულია 1400 ბავშვი. ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს, პირველ რიგში, მოზარდთა ფიზიკურ გაჯანსაღებას, მათი ქუჩისა და მავნე ჩვევებისაგან მოწყვეტას, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას და მათ მომზადებას ეროვნული ნაკრებებისთვის. ამასთანავე, ქმნის და ავითარებს სპორტის სხვადასხვა სახეობებისათვის მატერიალურ-ტექნიკური საწვრთნელო ბაზებს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები ხელს შეუწყობს აღნიშნული დაწესებულების ფუნქციონირებას, მომუშავეთა შრომის სტაბილურ ანაზღაურებას და დამსახურებულ მწვრთნელთა (რომელთაც სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან მიეცემათ დამსახურების მოწმობა) წახალისებას, რომლებიც აღზრდიან საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონებს დიდებში ან გუნდურ სპორტის სახეობებში გაზრდიან ეროვნული ნაკრების წევრებს. ქ. ხაშურში: ჭიდაობა ძიუდო (2 ჯგუფი), ჭიდაობა სამზო (2 ჯგუფი), თავისუფალი ჭიდაობა (5 ჯგუფი), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1 ჯგუფი), ქართული ჭიდაობა (3 ჯგუფი), ჭადრაკი (1 ჯგუფი), კალათბურთი (6 ჯგუფი), ფეხბურთი (15 ჯგუფი), ჩოგბურთი (1 ჯგუფი), ძალოსნობა (2 ჯგუფი), რაგბი (3 ჯგუფი), ბატუტზე ხტომა (2 ჯგუფი). დაბა სურამში: ძიუდო (1 ჯგუფი), ფეხბურთი (1 ჯგუფი), რაგბი (2 ჯგუფი). სოფლებში: სოფ. ვაყაში – ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), ძიუდო (1 ჯგუფი), სოფ. ალში – ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), ძიუდო (1 ჯგუფი), სოფ. გომში – ჭადრაკი (1 ჯგუფი), ფეხბურთი (1 ჯგუფი), სოფ. ოსიაურში – ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), სოფ. ცხრამუხაში – ფეხბურთი (2 ჯგუფი), სოფ. ბროლოსანში – ჭიდაობა ძიუდო (1 ჯგუფი); სოფ. კლდისწყაროში – ძალოსნობა (1 ჯგუფი), სოფ. ფლევი – ფეხბურთი (1 ჯგუფი), სოფ. ქვიშხეთში – ფეხბურთი (1 ჯგუფი). აგრეთვე გეგმავს და ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს როგორც სამოყვარულო, ასევე პროფესიული სპორტის მიმართულებით. ცენტრი გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით და ხელს უწყობს მის დანერგვას და პოპულარიზაციას. ცენტრი ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და ახორციელებს მათ დაჯილდოვებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ წრეებზე მოსიარულებთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც.

მოსალოდნელი შედეგი	ორგანიზებულია სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, შექმნილია თანაბარი პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული წრეებით სარგებლობისთვის და სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებში სპორტსმენთა მონაწილეობისთვის.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 03
პროგრამის დასახელება:	სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა და რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის 1. განვითარების და კეთილმოწყობის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	611,3 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მოსახლეობის სპორტით დაინტერესებას და ჩართულობის გაზრდა. ქვეპროგრამის აღწერა 1. დაბა სურამში ცენტრალური სტადიონის მშენებლობა/რეაბილიტაცია ღირებულებით 541,2 ათასი ლარი მშენებლობა/რეაბილიტაციის დროს გათვალისწინებული იქნება ქალების/გოგონების, კაცების/ბიჭების განსხვავებულ საჭიროებები. ზრუნველყოფს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნას დაგეგმილი მატჩებისათვის მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სპორტული მოედნებით სარგებლობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. (ისარგებლებს 2000 ბენეფიციარი) მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სპორტული ობიექტით სარგებლობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და სხვა ღონისძიებები. ასევე წინა წლის ვალდებულებების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 2,5% ის ანაზღაურება.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი უზრუნველყოფს შეუფერხებლად უმასპინძლოს გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02
პროგრამის დასახელება:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ განმახორციელებელი ა(ა)იპ კულტურის და ზავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება (ს/კ243918070).
დაფინანსება	5 819,9 ათასი ლარი
	პროგრამის მიზანი: მოსახლეობის კულტურული ცნობიერების ამაღლება და კულტურის პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა; მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და



ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. ხაშურის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედგება ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარება, მთავრობის მიერ ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნა. კონცერტების გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების, იუბილარ, ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრა, მადლობის სიგელების, საპატიო ტიტულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას. კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანების პროფესიული განვითარება/გადამზადება/გაცვლითი პროგრამები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ (ტრენინგები, ვორკშოპები, სემინარები, მასტერკლასები). კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საზღვარგარეთაც (საიმიჯო რგოლების დამზადება, ფოტო-ვიდეო მასალების შეგროვება, დოკუმენტური ფილმების გადაღება, გურული ტრადიციული სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, საკურორტო სეზონზე (ზღვა, მთა და სხვადასხვა ტურისტული ლოკაციები, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება.) საერთაშორისო კულტურულ-ურთიერთობათა გაღრმავება ,დამეგობრებულ ქვეყნებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება, ჩვენი კულტურის წარმოჩენა და გამოცდილების გაზიარება. დაგეგმილია კულტურის დაწესებულებების სერვისების ისე დაგეგმვა, რომ პასუხობდეს ქალების/გოგონების, კაცების/ბიჭების განსხვავებულ საჭიროებებს და ითვალისწინებდეს მათ ინტერესებს. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.
მოსალოდნელი შედეგი	შექმილია პირობები კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა, სახელოვნებო მიმართულებით სასწავლო დონის ამაღლება
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 01
პროგრამის დასახელება:	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ განმახორციელებელი ა(ა)იპ კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება (ს/კ243918070).
დაფინანსება	233,5 ათასი ლარი
	ქვეპროგრამის მიზანი: რომელიც ვრცელდება (2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) სახელმწიფო, რელიგიური და სახალხო დღესასწაულების აღნიშვნა. პროგრამის ძირითადი მიმართულებები: ქვეპროგრამის აღწერა: შობა–ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება, 25 თებერვალს, ლესია უკრაინკას საიუბილეო ღონისძიების აღნიშვნა 3 და 8 მარტის დედათა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება და ფასიანი საჩუქრების გადაცემა 4 მარტს, სოფ. ოსიაურთან დაღუპული იუნკრების ხსოვნის ღონისძიება 21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, 2 აპრილს აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღის აღნიშვნა, 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწყობა, 26 აპრილს, სახალხო დღესასწაულის, „ყიფიანობის“ ორგანიზება, 9 მაისს, დიდი სამამულო ომში გამარჯვების მემორიალის გვირგვინით შემკობა, 18 მაისს, მიხეილ მურვანიშვილის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა, 26 მაისის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება და ბავშვებისათვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა, 27 ივნისი, სახალხო დღესასწაულის, „ტამისკრობის“ ორგანიზება, 8 აგვისტოს, საქართველო-რუსეთის ომის ხსოვნის კვირეულთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზება, 27 სექტემბერს, აფხაზეთის დაცემის დღის აღნიშვნა, 5 ოქტომბრის მასწავლებლის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ორგანიზება და მათთვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა, 25 დეკემბერს, ნაძვის ხის ანთების საზეიმო ღონისძიების ორგანიზება, უკრაინაში, დამოზილებულ ქალაქ ნოვოგრაოდ-ვოლინსკში, მეგობრობის დღესასწაულში ხაშურის დელეგაციაა მონაწილეობა, უკრაინაში, დამოზილებულ ქალაქ ობუხოვოში, ქალაქის დღესასწაულში ხაშურის დელეგაციაა მონაწილეობა, ლიტვაში, დამოზილებულ ქალაქ რადვილისკში, ქალაქის დღესასწაულში ხაშურის დელეგაციის

ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	მონაწილეობა, ლატვიაში, დამშობილებულ ქალაქ ბაუსკაში, ქალაქის დღესასწაულში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა, პოლონეთში, დამშობილებულ ქალაქ ტარნოვში, ქალაქის დღესასწაულში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა, პოლონეთში, დამშობილებულ ქალაქ შრემში, ქალაქის დღესასწაულში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა, შვედეთში, დამშობილებულ ქალაქ ჰედემორაში, ქალაქის დღესასწაულში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა, ტურისტულ სეზონთან დაკავშირებული ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგებლების მონაწილეობით კონცერტის უზრუნველყოფა, ტურიზმის ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებზე მონაწილეობა, სახალხო დღესასწაულის – „ხაშურქალაქობა 2025“ ჩატარების ორგანიზება, ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა, ფოლკლორული ანსამბლების ფესტივალებზე მონაწილეობის მხარდაჭერა-განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები, შეხვედრა წარმატებულ ხაშურელებთან და მათი საქმიანობის პოპულარიზაცია, თეატრის დღეების ორგანიზება, სამხატვრო და საგამოფენო საქმიანობის ხელშეწყობა, საბავშვო წიგნის ფესტივალ „ასფურცელას“ ორგანიზება, წვეულებებისა და ღონისძიებების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები, საქალაქო კულტურის სახლის გახსნის საზეიმო ღონისძიების ორგანიზება, სხვადასხვა ღონის დაუგეგმავი კულტურული ღონისძიებების ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში ფასიანი საჩუქრების გადაცემა.
	სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება. ფართო მასებისა და შემოქმედებითი ახალგაზრდობის ჩართვა ღონისძიებებში. განხორციელდება სხვადასხვა კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებები რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დაინტერესებას და ჩართულობის გაზრდა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებული ორგანიზებულია კულტურული ღონისძიებები. უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის სადღესასწაულო და სასიამოვნო გარემოს შექმნა, საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა სადღესასწაულო ღონისძიებებში და ნიჭიერი და პერსპექტიული შემოქმედების წარმოჩენა;
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 02 01
პროგრამის დასახელება:	სამუსიკო სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური;
დაფინანსება	1 856,4 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანი მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების და ინფრასტრუქტურის განვითარება განვითარების ხელშეწყობა, <i>ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო იურიდიული პირი სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანება. უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.</i> ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მუსიკალური განათლების ხელშეწყობა ასევე ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია. დაგეგმილია დაბა სურამში რუსთაველის ქუჩაზე უოფილი კინოს შენობის რეაბილიტაცია მუსიკალური შენობის განთავსების მიზნით.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი გენდერული ასპექტების გათვალისწინებით შექმნილია მოწესრიგებული, უსაფრთხო და კომფორტული ინფრასტრუქტურა. მოსახლეობის კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა. მოწესრიგებული, უსაფრთხო და კომფორტული ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი	



(SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები
---	---

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის მიზანია „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური განმახორციელებელი ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანებას (ს/კ 443864267).
დაფინანსება	542,9 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობას მუსიკალური განათლების მიღების პროცესში. სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისთვის შესაბამისი პირობების შექმნა: განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; კლასიკური მუსიკის, სიმღერის , და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე მონაწილეობის მიღება ფესტივალებში,კონკურსებში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო იურიდიული პირი სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანება. გაერთიანება მოიცავს სამ სტრუქტურულ ერთეულს: ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლებს. სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე დაამტკიცა, რომ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რაც გამოიხატება საგრანტო კონკურსში საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული მოიპოვა გრანტი ს თანადაფინანსება და და შეძენილია მუსიკალური ინსტრუმენტი როიალი. ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობას მუსიკალური განათლების მიღების პროცესში. ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს 2021 წლიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა 100%-იან დაფინანსებას. ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და პედაგოგთა ხელფასების სტაბილურად გაცემას, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი შექმნილია თანაბარი პირობები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის მუსიკალური განათლების მიღებისთვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები, წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 03 02
ქვეპროგრამის დასახელება:	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ განმახორციელებელი ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებას (ს/კ243918098).
დაფინანსება	274,0 ათასი ლარი
	ქვეპროგრამის მიზანია ქვეპროგრამის მიზანი: ბიბლიოთეკებისადმი მოსახლეობის და ახალგაზრდობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მოსახლეობის წიგნიერების დონის ამაღლება. განახლებული წიგნადი ფონდი.

ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს ხაშურის მთავარი ბიბლიოთეკა, საზავშვო ბიბლიოთეკა, დაბა სურამში, სოფელ ხცისში და სოფელ ცხრაშუხაში განთავსებული ბიბლიოთეკები. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტისა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები მკითხველების სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მომსახურება როგორც ადგილობრივი, ისე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათაშორის აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთაგაცვლის საშუალებით, საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციული ხელშეწყობა, ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა. ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა, არსებული წიგნადი ფონდის გადარჩევა და მოზადება ელექტრონული საინფორმაციო ბაზისთვის, ელექტრონული მეთოდის შექმნა და წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით. ასევე დანაშაულის პრევენცია მოზარდებში მობილური ამერიკის კუთხე თემის ელჩები; მედია წიგნიერება ინგლისურის გაძლიერებისთვის; კანონის უზენაესობა- იდეატე; სამედიცინო ცნობიერების ამაღლება ა.ა.ი.პ-ის სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების შესაბამისად იმოქმედონ ტერიტორიულ ერთეულში, - იზრუნონ თემის გაძლიერებაზე, იყვნენ თემის მობილიზატორები და მოახდინონ ინტელექტუალური დონის ამაღლება მოსახლეობაში. გასცენ ყველა სახის საჯარო ინფორმაცია, და ასევე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, ინფორმირებულობის ამაღლება და მომსახურება სხვადასხვა საინფორმაციო სერვისებით ლიტერატურის გამოფენა.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკებისადმი მოსახლეობის და ახალგაზრდობის დაინტერესება და ჩართულობა, განახლებულია წიგნადი ფონდი და ხელშეწყობილია მოსახლეობის წიგნიერების დონის ამაღლება.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 04
ქვეპროგრამის დასახელება:	კულტურის ცენტრების ხელშეწყობა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	2 290.7 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	· ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების და ინფრასტრუქტურის განვითარება განვითარების ხელშეწყობა ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური სახითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციასა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, ასევე ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	გენდერული ასპექტების გათვალისწინებით შექმნილია მოწესრიგებული, უსაფრთხო და კომფორტული ინფრასტრუქტურა. კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებები ფუნქციონირებს გამართულად, უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებითი წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა, კმაყოფილი მოსახლეობა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა



	კულტურის ცენტრების, სკვერების რეაბილიტაცია
ქვეპროგრამის დასახელება:	
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	714.2 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	· ქვეპროგრამის მიზანი: კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული კულტურის ობიექტები. ქვეპროგრამის აღწერა: 1. 1, ქალქ ხაშურში ზემო სერის ტყე პარკის (მე-3 ეტაპი) – 378,7 ათასი ლარი, 2024 წლიდან გარდამავალი პროექტი, 3700 მ/კვ ისარგებლებს 5000 ბენეფიციარი, გათვალისწინებულია პროექტის ფარგლებში, მოეწყობა სარბენი და ველო ბილიკები, დამონტაჟდება დასასვენებელი სკამები, იქნება განათება. ყველა ასაკობრივი ჯგუფის ინტერესების შესაბამისად იქნება დაგეგმარებული სივრცე, სადაც დასვენების პირობები იქნება ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისა და მოზულებისთვის.
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია მოწესრიგებული, უსაფრთხო და კომფორტული ინფრასტრუქტურა და ხელშეწყობილია მოსახლეობის კულტურული ცხოვრება.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 04 02
ქვეპროგრამის დასახელება:	კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების ხელშეწყობა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ განმახორციელებელი ა(ა)იპ კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება (ს/კ 243918070).
დაფინანსება	602.0 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანი: ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაცია. მოსწავლე ახალგაზრდობის დაინტერესება ხელოვნების დარგებით. სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მოსწავლეთა ნიჭის თვითრეალიზებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა. შემოქმედი ბავშვების მიერ ხალხური ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია. ქვეპროგრამის აღწერა: ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამას ახორციელებს კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება, რომელიც მოიცავს შემდეგ ობიექტებს: თოჯინების თეატრს, საქალაქო კულტურის ცენტრს, სურამის და ქვიშხეთის კულტურის ცენტრებს და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრს ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემოქმედი ბავშვებისათვის. შემოქმედი ბავშვებისათვის გართობისა და დასვენების სათანადო ბაზის შექმნა. შემოქმედი ბავშვებისათვის და ასევე მათი მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების გამართვაში ხელშეწყობა. შემოქმედი ბავშვებისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობა. ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა, მათი ხელშეწყობა და წახალისება. თანამედროვე მუსიკის კონცერტების მოწყობა. ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა. კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლება. სულ ფუნქციონირებს 23 წრე. ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაცია. მოსწავლე ახალგაზრდობის დაინტერესება ხელოვნების დარგებით. სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მოსწავლეთა ნიჭის თვითრეალიზებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა. შემოქმედი ბავშვების მიერ ხალხური ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია. ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემოქმედი ბავშვებისათვის. შემოქმედი ბავშვებისათვის გართობისა და დასვენების სათანადო ბაზის შექმნა. შემოქმედი ბავშვებისათვის და ასევე მათი მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების გამართვაში ხელშეწყობა. შემოქმედი ბავშვებისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობა. ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა, მათი ხელშეწყობა და წახალისება. თანამედროვე მუსიკის კონცერტების მოწყობა. ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა.
	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ხელოვნების დარგების, აგრეთვე ქართული ფოლკლორის განვითარება და პოპულარიზაცია; მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარება და

მოსალოდნელი შედეგი	ხელოვნებით დაინტერესებულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა; ახალგაზრდობის ჩამოშორება ქუჩის მავნე ჩვევებისაგან, მათი გემოვნების დახვეწა და ინტელექტუალური შესაძლებლობების ამაღლება. უზრუნველყოფილია ხელოვნების დარგების, აგრეთვე ქართული ფოლკლორის განვითარება და პოპულარიზაცია; შექმნილია თანაბარი პირობები მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარებისა და ხელოვნებით დაინტერესებულ ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობისთვის.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 05 01
ქვეპროგრამის დასახელება:	მუზეუმების ხელშეწყობა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ და ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებას (ს/კ 243918089).
დაფინანსება	345,1 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია: ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება, მუზეუმის საქმიანობით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება. ტურისტული პოტენციალის გაზრდა. მისი პოპულარიზაცია და დაინტერესების ზრდა. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. ქვეპროგრამის აღწერა: მოქმედების სფერო ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის შემდეგ ობიექტებზე: ქ. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაბა სურამის ლესია უკრაინკას სახლმუზეუმი, ქვიშეთის დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმი. მუზეუმის საქმიანობის გამრავალფეროვნება, ვიზიტორების დაინტერესება, მათთან კომუნიკაბელური ურთიერთობა, ზრუნვა ექსპონატთა მოძიებასა და სამუზეუმო ფონდის დაცვაზე, სამუზეუმო საქმიანობისა და ამ მიმართულების მქონე არასამთავრობოთა ჩართვა მუნიციპალიტეტის სამუზეუმო ცხოვრებაში, ტერიტორიებზე არსებული გათხრების, ისტორიული მნიშვნელობის ექსპონატთა სამუზეუმო ფონდებში განთავსება. შეგროვებითი-საფონდო და კულტურულ-საგანმანათლებლო და კვლევითი საექსპედიციო სამუშაოების აქტიურად წარმოება. კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია; საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, აგრეთვე ცალკეული მხარის, კერძოდ შიდა ქართლის მხარის ისტორიასთან დაკავშირებული მასალების შეგროვება და დაცვა; მუზეუმებში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ინვენტარიზაცია; მუზეუმების ფონდების ყოველწლიური აღრიცხვა და სისტემატიზაცია; სამუზეუმო ექსპოზიციებისა და მუზეუმის ფონდების ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება; სამუზეუმო კატალოგების, ბიბლიოგრაფიების, სამეცნიერო-კვლევითი მასალების შედგენა და პუბლიკაცია; ტურისტული პოტენციალის გაზრდა.
მოსალოდნელი შედეგი	.შექმნილია პირობები ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარებისთვის, აღრიცხული და უკეთ დაცულია სამუზეუმო ფონდები, სიმკვლეები და კულტურული მემკვიდრეობა. შექმნილია პირობები დამთვალიერებელთა რაოდენობის ზრდისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლებისთვის.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 06
ქვეპროგრამის დასახელება:	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური განმახორციელებელი ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ ხაშურის მოამბეს (ს/კ 443860984).

დაფინანსება	86,6 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია: გაზეით „ხაშურის მოამბის“ ფუნქციონირების ხელშეწყობა; ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება; მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული და მიმდინარე სამუშაოების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობა; შემოქმედებითი და ლიტერატურული საქმიანობის ხელშეწყობა. გაზეთი მედიატორის როლს ასრულებს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, გაზეთით ეცნობიან მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს. ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გაზეთი „ხაშურის მოამბის“ გამოცემა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს. გაზეთის მომსახურე ტანამშრომლების მიერ ხდება ინფორმაციის მოძიება, მიღება, შექმნა, შენახვა და დამუშავება. თვითმმართველი ორგანო გამოცემის საშუალებით თანამშრომლობს საზოგადოების ფართო ფენებთან - გაზეთის მეშვეობით მოსახლეობის დიდი ნაწილი ეცნობა ბიუჯეტის პროექტს და მონაწილეობს საჯარო განხილვაში, თვითმმართველი ორგანო გაწეული მუშაობის შესახებ გაზეთის ფურცლებიდან აბარებს ანგარიშს ხალხს. პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ა.ა.ი.პ გაზეთ „ხაშურის მოამბის“ დაფინანსებას წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელების მიზნით. „ხაშურის მოამბის“ რედაქცია უზრუნველყოფს გაზეთის გამოცემას კვირაში ერთხელ და ლიტერატურული დამატების გამოცემას თვეში ერთხელ. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი საინფორმაციო გაზეთის - „ხაშურის მოამბის“ ყოველკვირეული გამოცემის დაფინანსება.
მოსალოდნელი შედეგი	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დროულად მიიღებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე. თანაბარი ხელმისაწვდომობა საჯარო ინფორმაციაზე და სიახლეებზე
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 07
ქვეპროგრამის დასახელება:	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური;
დაფინანსება	130,0 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება რელიგიური დაწესებულებების საკულტო შენობა-ნაგებობების აღდგენისა და რეაბილიტაციის, ასევე სხვა საქმიანობისათვის ფინანსური დახმარებით ხელი ეწყო რელიგიურ-კულტურული ობიექტების მოვლა-შენახვას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტურიზმის განვითარებას მუნიციპალიტეტში. ქვეპროგრამის აღწერა: ხაშურის მუნიციპალიტეტის სამოქმედო არეალში მრავალი ისტორიული და რელიგიური კერა არსებობს, რომლებიც შესაბამის დახმარებას და მხარდაჭერას საჭიროებენ ფინანსური კუთხით. წარმოდგენილი პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რელიგიური კერების მშენებლობის, აღდგენა/რეაბილიტაციის ხელშეწყობა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დახმარება. 7. პროგრამით ისარგებლებს შესაბამისი უფლებამოსილი პირი/ორგანიზაცია/დაწესებულება რომელიც შემოიტანს შესაბამის განცხადებას.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთი ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. დგენილი და რეაბილიტირებული რელიგიურ-კულტურული ობიექტები, დაფინანსებული რელიგიური ღონისძიებები. პილიგრими ტურისტების გაზრდილი რაოდენობა ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიული მნიშვნელობის ტაძრებისა და რელიგიური კერების მშენებლობა, აღდგენა/რეაბილიტაცია, რესტავრაცია 1. რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა/მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. 2. ტურისტების/მრევლის რაოდენობა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 03
პროგრამის დასახელება:	ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური
დაფინანსება	595.9 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანი: ახალგაზრდულ ღონისძიებათა ორგანიზება. ახალგაზრდობის მოსწავლეების განათლების ხელშეწყობა. მხარდაჭერილია ახალგაზრდული ინიციატივები და უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (ტრენინგ-სემინარების კონფერენციების, ფორუმების მოწყობა ახალგაზრდებისათვის აქტუალურ თემებზე). სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების დახმარება და ხელშეწყობა განათლების მიღებაში. ხელშეწყობა საერთაშორისო ურთიერთობის გასაღრმავებლად. ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. ახალგაზრდების ნიჭის თვითრეალიზების ხელშეწყობა. ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერა. ახალგაზრდა თაობაში შრომის უნარ-ჩვევების გამომუშავება და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა. ახალგაზრდობის მხარდაჭერა, მათი უნარების რეალიზაციის შესაძლებლობა და საქმიანობის სტიმულირება. განხორციელება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა, ჩართულობას მასობრივ ღონისძიებებში. ჩატარდება თემატური ფესტივალები, გასართობი, შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობები. მოეწყობა ახალგაზრდული ბანაკები, ლაშქრობები და სხვა ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. შექმნილია ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, უზრუნველყოფილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო ინიციატივები, ხელშეწყობილია გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობა. ინტელექტუალური პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფა და გამოვლენილ გამარჯვებულებზე ფასიანი საჩუქრების გადაცემა, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და მხარდაჭერა (პეინთბოლი, ოფროუდი და სხვ.) პროექტ „ჯანსაღი გარემო ჯანსაღი მომავლისათვის“ ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები (ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, მართონი სირბილში, ქალაქისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებისა და გამწვანების აქცია) 2025 წელს 100%-იანი დაფინანსებით ჩარიცხული სტუდენტების დაჯილდოება, სპეციალური საჭიროების პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა, ღონისძიების ორგანიზება და მათთვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა, სასკოლო აქტივობების მხარდაჭერა -სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში მონაწილეობის ხარჯები და სხვ. ახალგაზრდული ღონისძიებებისათვის საჭირო ტრანსპორტირების ხარჯი, სხვადასხვა ღონის ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება და წარმატებულ ახალგაზრდებზე ფასიანი საჩუქრების გადაცემა, ახალგაზრდებისა და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ინიციატივების ხელშეწყობა და დაფინანსება, ფასიანი საჩუქრების გადაცემა, ახალგაზრდებისათვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, სხვადასხვა პროფესიის წარმატებულ პიროვნებებთან ტრენინგებისა და შეხვედრების ორგანიზება, ახალგაზრდული ცენტრების ხელშეწყობა (კომუნალური-გაზის, დენის, ინტერნეტის გადასახადის დაფარვა წლის განმავლობაში ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტი (დელეგირებული უფლება-მოსილება);
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური გამოყენება; ახალგაზრდების სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვა; ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარება.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა



ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ადამიანზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის მთავარი მიღწევა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებაა. შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა ერთერთ პრიორიტეტად მიიჩნევს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვას მუნიციპალიტეტი, არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ასევე, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, სხვადასხვა დაავადებების პრევენციის მიზნით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, გაგრძელდება სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს, არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 548.21	2 765,9	2 655,7
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	116.61	218,6	291,2
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	1 431.60	2 547,2	2 364,5
06 02 01	ასი და მეტი წლის უხუცესთა დახმარების პროგრამა	2.00	2,00	3.00
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა	40.23	43,6	48.4
06 02 03	ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	0,0	3,2	13,00
06 02 04	მუნიციპალიტეტის დასახლებებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაცო ღონისძიებები	0,0	786,8	62,0
06 02 05	ტერიტორიული მთლიანობისათვის მეზრმოლთა ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარებები ომის დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები	19.20	18,8	19,9
06 02 06	საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის ღონისძიებები	18.67	19,9	20,6
06 02 07	სარიტუალო მომსახურება	4.0	3,3	7.0
06 02 08	უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფა	128.69	143,9	133,4
06 02 09	მთიანი სოფლის საჯარო სკოლებს პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა	21,30	33,6	35.70
06 02 10	მოქალაქეთა სოციალური დაცვა	1 197.51	1 492,2	1 992,4
06 02 11	შპმ ბენეფიციარების პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამა	0.0	0.0	29.0

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01
პროგრამის დასახელება:	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება



პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური. განმახორციელებელი ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“
დაფინანსება	291,2 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებები დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით და ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსამიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. პროგრამის ფარგლებში ჯანდაცვის ცენტრი ძირითადად ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლი) 2 იმუნოზაცია. 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. 5. ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან. 6. დაავადების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯგუფების გამოვლენა და აღრიცხვა. რანდომიზებული კვლევის(თამბაქოს კონტროლი) განხორციელება მუნიციპალიტეტში ადგილობრივი კონტექსტის შესასწავლად.
მოსალოდნელი შედეგი	შედეგი 1: უზრუნველყოფილია გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; შედეგი 2: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი;
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01 01
ქვეპროგრამის დასახელება:	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური. განმახორციელებელი ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“
დაფინანსება	286,4 ათასი ლარი



	ქვეპროგრამის მიზანია: სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების განხორციელების, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებები დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით და ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე და შესაბამისად. მისი მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსახლეობის ინფორმირება. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა მუნიციპალიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში გეგმაზომიერად განხორციელდეს ღონისძიებები სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობის შემოწმების მიზნით; ქმედითი კონტროლი დაწესდეს გამოვლენილი ნაკლოვანებების დროულ აღმოფხვრაზე. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების განხორციელების, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში ხელი შეეწყოს პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას. მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში (მათ შორის უმწეოთა უფასო სასადილოში) ზედამხედველობა დაწესდეს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობაზე. პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებები ეპიდსაშიშროებისას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გატარდეს პრევენციული და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებები. გატარდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევების ხელშეწყობის ღონისძიებები. დაავადებათა პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტის შესაბამის ობიექტებში ორგანიზება გაუკეთდეს დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებებს. უზრუნველყოფილი იქნეს პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის მოწოდებული მასალების დადგენილი პროცედურების მიხედვით მიღება, შენახვა და განაწილება. მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა სპეციალური გეგმის მიხედვით, სეზონურად, ორგანიზება გაუკეთდეს მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში ქუჩების, მოედნების, სკვერების, სასაფლაოთა მიმდებარე ტერიტორიების სანიტარული მდგომარეობის მასობრივ დათვალიერებას. შესაბამისი უწყებებიდან პერიოდულად გამოთხოვილი იქნეს დასახლებული პუნქტების მიხედვით მოსახლეობისათვის მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის გამოკვლევის შედეგები და მიეცეს მას საჭირო რეაგირება. გარემოს დაცვის სფეროში კომპეტენტური ორგანოების მონაწილეობით შესწავლილ იქნეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნახშირი და ჩამდინარე წყლებით მდინარეების დაბინძურების მდგომარეობა და მომზადდეს წინადადებები საკითხის რადიკალურად გადასჭრელად. მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა სპეციალური გეგმის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ჩატარდეს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. მასში ყველა ასაკისა და ჯგუფის მოსახლეობის ფართოდ მონაწილეობის მიზნით დაწესდეს წამახალისებელი პრიზები და ჯილდოები. თამბაქოს, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტუბერკულოზის, შიდსის პროფილაქტიკის მიზნით, საცხოვრებელი ან/და სწავლების ადგილების მიხედვით, ჩატარდეს ახალგაზრდობის სანგანათლების ღონისძიებები (ლექციების, საუბრების ჩატარება, თემატური „მრგვალი მაგიდების“ მოწყობა, საგაზეთო სტატიების გამოქვეყნება; ამ საკითხებზე თვალსაჩინოების საშუალებებისა და სპეციალური ლიტერატურის (ბროშურები) გავრცელება). გატარდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევების, C ჰეპატიტის აივ ინფექციის შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ღონისძიებები“.
მოსალოდნელი შედეგი	ჯანმრთელი მოსახლეობა, თავიდან აცილებული სხვადასხვა დაავადებები და ეპიდემიები. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების განხორციელების, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა



ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01 03
ქვეპროგრამის დასახელება:	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური. განმახორციელებელი ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“
დაფინანსება	4,8 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია: ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს შექმნის ღონისძიებები. ქვეპროგრამის აღწერა: ხაშურის მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებებში სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა სანიტარული ნორმების დაცვა დაავადებების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციის და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება და კონტროლი. ქალაქის ნაგავსაყრელისა და ნაგვის შესაგროვებელი კონტეინერების სანიტარულ ნორმებთან შესაბამისობაზე სისტემატიური კონტროლის დაწესება საჭიროების შემთხვევაში დერატიზაციის, დეზინსექციის და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02
პროგრამის დასახელება:	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური.
დაფინანსება	2 364,5 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა უსახლკარო ოჯახების გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა, მათი სტიმულირება და მატერიალური თანადგომა; მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისება მათი რაოდენობის გაზრდის მიზნით, გაუმჯობესებული დემოგრაფიული მდგომარეობა. ბენეფიციარის დახმარება ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის; პროგრამის აღწერა: პროგრამა ხელს უწყობს გენდერულად მგრძნობიარე სოციალური პოლიტიკის განხორციელებას და სოციალური პროგრამის დაგეგმარებისა და განხორციელების დროს ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია ბავშვების, შშმ პირების, მოხუცების, ქალებისა და კაცებისთვის სხვადასხვა სოციალური სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია. სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კომუნალურ გადასახადებზე შეღავათების უზრუნველყოფით მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კერძოდ: - დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერად დახმარებას; - სამედიცინო მომსახურების დაფინანსებასა და თანადაფინანსებას; - ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირების ხარჯებით უზრუნველყოფას; - უსახლკარო ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა. - აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა ოჯახების ერთჯერად დახმარებას, რომელიც

	მიმართულია მათი სამედიცინო საჭიროებისათვის. - სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. არსებული 9 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მძიმე სოციალური მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარება. მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელშეწყობა და სხვა სოციალური ღონისძიებების განხორციელება.
მოსალოდნელი შედეგი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დღის მოვლის ცენტრის "უწყვეტი აღზრდისა და სწავლების პროცესის ხელშეწყობა მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო და შრომითი ადაპტაციის უზრუნველყოფა
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 01
ქვეპროგრამის დასახელება:	ასი და მეტი წლის უხუცესთა დახმარება
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური.
დაფინანსება	3,0 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფია: ასი და მეტი წლის უხუცესთა დახმარება ქვეპროგრამის აღწერა: ასი და მეტი წლის უხუცესები 1000 ლარი, 1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი. 3. საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;
მოსალოდნელი შედეგი	უხუცეს მოქალაქეთა მატერიალური თანადგომა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	იზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა;

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური.
დაფინანსება	48.41 ათასილარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფია: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა უწყვეტი აღზრდის, სწავლების პროცესისა და მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო, შრომითი ადაპტაციის ხელშეწყობის უზრუნველყოფა. პროექტის მიღების მიზანი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა უწყვეტი აღზრდის, სწავლების პროცესისა და მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო, შრომითი ადაპტაციის ხელშეწყობის უზრუნველყოფა. პროექტის ძირითადი არსი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა (22 მოსწავლე) უწყვეტი აღზრდის, სწავლების პროცესისა და მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო, შრომითი ადაპტაციის ხელშეწყობის უზრუნველყოფა ს ს ი პ ხაშურის N2 საჯარო სკოლის "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დღის მოვლის ცენტრის" უწყვეტი აღზრდისა და სწავლების პროცესის ხელშეწყობა მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო და შრომითი ადაპტაციის უზრუნველყოფაშეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დღის მოვლის ცენტრის მიერ წარმოდგენილი კვარტალური დაფინანსების განაცხადის შესაბამისად, ანაზღაურება ხდება ყოველთვიურად. საკითხის ადმინისტრირებას აწარმოებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული

	ერთეულის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური.
მოსალოდნელი შედეგი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დღის მოვლის ცენტრის "უწყვეტი აღზრდისა და სწავლების პროცესის ხელშეწყობა მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო და შრომითი ადაპტაციის უზრუნველყოფა
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა; მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 03
ქვეპროგრამის დასახელება:	ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური.
დაფინანსება	13.0 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	პროექტის მიღების მიზანი: პროგრამის მიზანია ბავშვის უფლებების დაცვა, ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერა და გაძლიერება, ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, კრიზისული მდგომარეობის დამლევაში მხარდაჭერა პროექტის ძირითადი არსი: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრებ სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ (ბავშვი, რომელზედაც გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, რომლებიც აფერხებს მის შესაძლებლობას, სათანადო მხარდაჭერის გარეშე გაიაზროს სხვადასხვა გამოწვევა, მათ შორის მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, დანაშაულის მსხვერპლი ან/და ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები) ბავშვზე რომელსაც ესაჭიროება ფინანსური დახმარება.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერა, სოციალურ ეკონომიკური სირთულეების და მათ წინაშე არსებული საჭიროებების ნაწილობრივი დამლევა-დაკმაყოფილება, ოჯახის გაძლიერების კუთხით.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა; მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 04
პროგრამის დასახელება:	მუნიციპალიტეტის დასახლებებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურს;
დაფინანსება	62,0 ათასი ლარი



პროგრამის მიზანი და აღწერა	· პროგრამის მიზანი: სტიქიის შედეგების პრევენციის ღონისძიებების განხორციელება.
მოსალოდნელი შედეგი	· პროგრამის შედეგი: დაცული მოსახლეობა სტიქიის შედეგებისაგან
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები მიზანი 13 - კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 05
ქვეპროგრამის დასახელება:	ტერიტორიული მთლიანობისათვის მეზრძოლთა, ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება. ომში დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებები
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური.
დაფინანსება	19,9 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფია: ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების სოციალური დახმარება. ქვეპროგრამის აღწერა: 1.ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდები (კოდეზი-958 311; 958 312; 958 313); ბ).2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ინვალიდები (კოდეზი-958 811; 958 812; 958 813) 2.ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახის წევრი(კოდი-958 501); ბ).2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ოჯახის წევრი (კოდი-958 502); 1) საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან-26 მაისთან დაკავშირებით – 400 ლარი (პ;2;3); ბენეფიციართა კონტიგენტს და მათ საბანკო (საპენსიო) ანგარიშებს აზუსტებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
მოსალოდნელი შედეგი	ტერიტორიული მთლიანობისათვის მეზრძოლთა და დაღუპულთა ოჯახების მატერიალური თანადგომა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 06
ქვეპროგრამის დასახელება:	საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის ღონისძიებები
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური.
დაფინანსება	20,6 ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფია: საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის ღონისძიებების გატარება. ქვეპროგრამის აღწერა: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში შენობების დერეფნების განათება და წყლის ტუმბოებით მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის დაფინანსება. სარგებლობდა კომპაქტურად ჩასახლებული 233 დევნილი ოჯახი.



მოსალოდნელი შედეგი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა მატერიალური თანადგომა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 07
ქვეპროგრამის დასახელება:	სარიტუალო მომსახურება
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური.
დაფინანსება	7,0 ათასი ლარი
